შპს „რომა-2010”-ის

(ს/ნ: 206347381)

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული

საანგარიშგებო წლისთვის

შ ი ნ ა ა რ ს ი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 3

ფინანსური შედეგების ანგარიშგება 4

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 5

ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ 5

ანგარიშგების მომზადების საფუძველი 5

ფუნქციონირებადი საწარმო 5

საღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები 6

ძირითადი საშუალებები 7

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები 8

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 8

ამონაგები 9

ხარჯები 11

ფული და ფულის ეკვივალენტები..... 13

პროცენტიანი სესხები და გადასახდელი ანგარიშები..... 13

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება..... 14

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები..... 16

დივიდენდი 16

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება..... 16

ა ნ გ ა რ ი შ გ ე ბ ა

შპს "რომა-2010"-ის ფინანსური მდგომარეობის შესახებ

2022 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	12/31/2023	12/31/2022	12/31/2021
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	5	194,190	35,462	39,300
გრძელვადიანი სესხები		523,159	430,100	
სულ გრძელვადიანი აქტივები		**717,349**	**465,562**	**39,300**
მიმდინარე აქტივები				
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	6	3,288,880	2,934,966	2,511,412
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	211,816	151,284	124,705
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ		0	109,158	
საგადასახადო აქტივი		26,744	34,325	
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	8	111,221	361,021	232,574
სხვა მოკლევადიანი აქტივები				351,731
სულ მიმდინარე აქტივები		**3,638,661**	**3,590,754**	**3,220,422**
ჯამური აქტივები		**4,356,010**	**4,056,316**	**3,259,722**
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება		3,259,365	2,428,714	2,028,518
მიმდინარე პერიოდის მოგება		483,139	988,546	715,985
პარტნიორთა კაპიტალი		6,891	3,891	20,126
სულ კაპიტალი და რეზერვები		**3,749,395**	**3,421,151**	**2,764,629**
გრძელვადიანი ვალდებულებები				
პროცენტიანი სესხები და გადასახდელი ანგარიშები				
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**0**	**-**	**-**
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	9	355,730	410,145	313,312
მიღებული ავანსები		174,835	225,020	181,050
გასაცემი ხელფასი/პერსონალი	-			731
სხვა ვალდებულებები		76,050		
სულ მიმდინარე ვალდებულებები		606,615	635,165	495,093
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**4,356,010**	**4,056,316**	**3,259,722**

შპს "რომა-2010"-ის დირექტორი

ა ნ გ ა რ ი შ გ ე ბ ა

შპს "რომა-2010"-ის ფინანსური შედეგების შესახებ

2022 და 2023 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისათვის

	შენიშვნა	12/31/2023	12/31/2022
ამონაგები	10	2,516,325	3,095,837
პროდუქციის/მომსახურების თვითღირებულება		(842,756)	(1,092,398)
საერთო მოგება		**1,673,569**	**2,003,439**
	11		
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები		(293,709)	(274,543)
რეალიზაციისა და მიწოდების ხარჯები		(153,129)	(115,150)
სხვა საოპერაციო ხარჯები, წმინდა		(687,658)	(610,679)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შედეგი		**539,073**	**1,003,067**
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები			-
ცვეთა და ამორტიზაცია		(28,071)	(8,589)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი			
სხვა არასაოპერაციო ხარჯები			(5,932)
მოგება გადასახადით დაბეგვრამდე		**511,002**	**988,546**
მოგების გადასახადის ხარჯი		(27,863)	
წმინდა მოგება		**483,139**	**988,546**

შპს "რომა-2010"-ის დირექტორი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „რომა-2010“ კანონით დადგენილი წესით დაფუძნდა და დარეგისტრირდა თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ 2009 წლის 26 ნოემბერს. რეგისტრაციის შემდგომ, ორგანიზაციას მიენიჭა უნიკალური საიდენტიფიკაციო ნომერი - 206347381. კომპანიის იურიდიული მისამართია: თბილისი, სამგორის რაიონი, კახეთის გზატკეცილი # 3. დღეის მდგომარეობით, საწარმოს მესაკუთრე (100 %-იან წილის მფლობელი) არის იალჩინ ქემალ იშიქჩი (პ/ნ 61091000186) ხოლო დირექტორი ამირან გოგრიჭიანი (პ/ნ 01011041702).

კომპანიის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ავეჯის იმპორტი და ადგილობრივ ბაზარზე საცალო რეალიზაცია.

2. ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის 2016 წლის 8 ივნისის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდრტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით. ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში თუ სხვა რამ არ არის მითითებული. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

3. ფუნქციონირებადი საწარმო

წინამდებარე ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანიის ხელმძღვანელობამ „ფუნქციონირებადი საწარმო“-ს სტანდარტზე დაყრდნობით შეაფასა აქვს თუ არა კომპანიას საქმიანობის გაგრძელების უნარი, როგორც ფუნქციონირებად საწარმოს. კომპანია მიჩნეულია ფუქნქციონირებად საწარმოდ, მის ხელმძღვანელობას არ აქვს განზრახული კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა და არც იძულებული არ არის, ასე რომ მოიქცეს. საწარმოს ფუნქციონირებადობის შეფასებისას ხელმძღვანელობამ გამოიყენა ყველა ხელმისაწვდომი ინფორმაცია მომავლის შესახებ, რომელიც საანგარიშგებო თარიღიდან სულ მცირე თორმეტ კალენდარულ თვეს მოიცავდა.

კომპანიის ფუნქციონირებად საწარმოდ მიჩნევისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს შემდეგ ფაქტებს:

- კომპანია საანგარიშო პერიოდებს ასრულებს მოგებით;

- 2022-2023 წლებში კომპანიამ საოპერაციო საქმიანობიდან მიიღო საკმარისი ოდენობის ფულადი სახსრები შემდგომში საქმიანობის წარმატებით გასაგრძელებლად;
- კომპანია ფლობს აქტივების საკმაო მოცულობას იმისათვის, რომ წარმატებულად განაგრძოს ფუნქციონირება;

4. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

4.1 სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანია იყენებს ვალუტას, რომელიც გამოიყენება ეკონომიკურ გარემოში, სადაც ხორციელდება სამეწარმეო საქმიანობა. შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ეროვნულ ვალუტაში - ლარში (GEL), რომელიც არის კომპანიის სამუშაო და წარსადგენი ვალუტა.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხა ქართულ ლარში ოპერაციის დღისთვის დადგენილი კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაანგარიშდა ლარებში ფინანსური ანგარიშგების შედგენის დღეს არსებული გაცვლითი კურსების შესაბამისად. საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდა მოგებაში ან ზარალში.

4.2 ძირითადი საშუალებების აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, გარდა ყოველდღიური მომსახურების ხარჯებისა, რასაც აკლდება აკუმულირებული ცვეთა. ამ თანხაში შედის ძირითადი საშუალების ნაწილის ჩანაცვლების ღირებულება, ამ ხარჯის დადგომისას, თუ დაცულია აღიარების კრიტერიუმები. ისეთი ელემენტები, როგორიცაა სათადარიგო ნაწილები, დამხმარე მოწყობილობები და ტექმომსახურებისა და რემონტისთვის განკუთვნილი მოწყობილობები აღიარდება წინამდებარე განყოფილების შესაბამისად, როდესაც ისინი აკმაყოფილებს ძირითადი საშუალების განმარტებას. სხვა შემთხვევაში, კლასიფიცირდება როგორც მარაგი. ძირითადი საშუალების ღირებულება მოიცავს უშუალოდ აქტივის შეძენის დანახარჯებს, ასევე მოიცავს:

- მასალების ღირებულებას და პირდაპირი მუშაობის ხარჯებს;
- ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია მასალის/ნედლეულის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და გამოსაყენებელ მდგომარეობაში მოყვანასთან;

არამატერიალური აქტივი წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთით შემცირებული თვითღირებულებით.

ცვეთა

ძირითადი საშუალებების ცვეთა დაერიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის ექსპლუატაციაში გაშვება. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, ძირითადი საშუალებების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადის გათვალისწინებით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადები ასეთია:

- სატრანსპორტო საშუალებები - 10 წელი;
- ოფისის აღჭურვილობა - 10 წელი;
- ავეჯი და სხვა ინვენტარი - 10 წელი;
- არამატერიალური აქტივი - 10 წელი.

ამორტიზაციის მეთოდები, სასარგებლო მოქმედების ვადა და ნარჩენი ღირებულება განიხილება ყოველი ანგარიშგების დღეს და კორექტირდება საჭიროების მიხედვით. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

გრძელვადიანი აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის კომპანია განიხილავს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ ადგილი აქვა ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების გაუფასურებას. იმ შემთხვევაში თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, ფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და უდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

4.3 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესის ღირებულებით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს შეძენის ხარჯებს, წარმოების ან კონვერტაციის ხარჯებს, და ასევე სხვა გაწეულ ხარჯებს, რაც საჭიროა ადგილმდებარეობამდე მისატანად. იმ შემთხვევაში, თუ წარმოებულ მარაგებზე მუშაობა მიმდინარეობს, ღირებულება მოიცავს შესაბამის წილ წარმოების ზედნადებ ხარჯებსაც. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება გაიანგარიშება „საშუალო შეწონილი“ მეთოდით.

გრძელვადიანი აქტივების ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო

დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისათვის საჭირო დანხარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

4.4 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანია რეალიზაციას ახორციელებს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით, რომლის დროსაც ხდება ძირითადად სავაჭრო მოთხოვნილებების ფორმირება. დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაანალიზება, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

4.5 სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს, რომელსაც პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულბა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

4.6 დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

დაქირავებულ მომუშავეთა მოკლევადიანი ვალდებულებების შეფასება ხდება დისკონტირების გარეშე და გამოიქვითება როგორც მიმდინარე ხარჯი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საჭიროა ასეთი ხარჯების აქტივების თვითღირებულებაში ასახვა. ვალდებულება აღიარდება იმ თანხით, რომელიც სავარაუდოდ გადასახდელი იქნება როგორც მოკლევადიანი ფულადი პრემია ან მოგებიდან მიღებული შემოსავლის განაწილება, თუ კომპანიას აქვს მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება დასაქმებულის მიმართ გადაიხადოს ეს თანხა მიმდინარე პერიოდში ან წარსულში გაწეული მომსახურებისათვის, და ამ შემთხვევაში ვალდებულების შეფასება შესაძლებელია საიმედოდ.

4.7 სესხები

კომპანია არ სარგებლობს მიღებული სესხით.

4.8 ამონაგები

საქონლის გაყიდვიდან/მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავალი ჩვეულებრივ საქმიანობად ფასდება და იზომება მიღებული ან მისაღები სამართლიანი ღირებულებით, წმინდა ამონაგებით და სავაჭრო ფასდაკლების გათვალისწინებით. შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მნიშვნელოვანი რისკები და საკუთრება უკვე გადაეცემა მყიდველს. ანაზღაურების მიღება, ასოცირებული ხარჯები და საქონლის შესაძლო უკან დაბრუნების უფლება მიიჩნევა საიმედოდ, თუ არ საჭიროებს მენეჯმენტის უწყვეტ ჩართულობას საქონელთან მიმართებაში და მისაღები თანხაც შეიძლება ჩაითვალოს საიმედოდ. თუ არსებობს ეჭვი, რომ მოხდება ფასის დაკლება და თანხის ოდენობა შეგვიძლია ჩავთვალოთ საიმედოდ, მაშინ ფასდაკლება აღიარებულია, როგორც გაყიდვების შემოსავლების შემცირება.

4.8.1 აღიარება

კომპანია საქონლის რეალიზაციით მიღებულ შემოსავალს აღიარებს იმ შემთხვევაში, როცა დაკმაყოფილებულია ყველა შემდეგი პირობა:

- კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;
- კომპანია არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;
- შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება;
- მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს;
- შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებით უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

კომპანია ახდენს გარიგების პირობების გაანალიზებას იმის დასადგენად, თუ როდის მოხდა მყიდველისათვის საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკების და სარგებელის გადაცემა. მეტ წილ შემთხვევებში, საკუთრებასთან დაკავშირებული რისკებისა და სარგებლის გადაცემა ემთხვევა მყიდველზე იურიდიული ან ქონებრივი უფლებების გადაცემას. თუ კომპანია ინარჩუნებს საკუთრებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, ოპერაცია არ მიიჩნევა გაყიდვად და, შესაბამისად, არ ხდება ამონაგების აღიარება. ასეთი შემთხვევებია, როდესაც:

- კომპანიას რჩება ვალდებულება მიწოდებული საქონლის არადამაკმაყოფილებელ საექსპლუატაციო თვისებებზე, რომელსაც არ ითვალისწინებს გარიგების სტანდარტული პირობები;
- მყიდველს, ხელშეკრულებით განსაზღვრული გარკვეული მიზეზით, ან საკუთარი სურვილისამებრ, უფლება აქვს, გააუქმოს ხელშეკრულება და, ამდენად, საწარმოსათვის გაურკვეველია შემოსავლის მიღების შესაძლებლობა.

მომსახურების გაწევით მიღებულ შემოსავალს კომპანია აღიარებს, როცა დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

- ამონაგების ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ;
- მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;
- შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს;
- შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესასრულებლად საჭირო მომავალი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

4.8.2 ამონაგების შეფასება

კომპანია ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც მცირდება კომპანიის მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობის, ასევე ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებული რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების თანხებით.

4.9 საკუთარი კაპიტალი

კომპანია საკუთარი კაპიტალის ანგარიშში აღრიცხავს კომპანიის მესაკუთრის მიერ კომპანიაში განხორციელებულ შენატანებს, ასევე საანგარიშო პერიოდის მოგებას ან ზარალს და გაუნაწილებელ მოგებაში მომხდარ ცვლილებებს.

4.10 ხარჯები

კომპანიის ხარჯები მოიცავს ზარალს და ისეთ ხარჯებს, რომლებიც წარმოიშობა საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში. ასეთი ხარჯები სხვადასხვა სახის აქტივების შემცირებით ან კომპანიიდან გასვლით გამოიხატება. კომპანია აღიარებს ხარჯებს მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში იმ შემთხვევაში, როდესაც მცირდება აქტივის შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი და ამგვარი ცვლილების სიდიდის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია. ხარჯების კლასიფიცირებას კომპანია ახდენს ფუნქციების მიხედვით.

4.11 დაბეგვრა

საგადასახადო ხარჯი შედგება მიმდინარე და გადავადებული გადასახადებისაგან. მიმდინარე და გადავადებული გადასახადი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

მოგების გადასახადი

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით მოგების გადასახადით დაბეგვრას ექვემდებარება განაწილებული მოგება, თუმცა თუ კომპანიაში ხდება 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 31 დეკემბრამდე დაგროვილი მოგების განაწილება, რომლის შესაბამისი გადასახადი გადახდილია სახელმწიფო ბიუჯეტში, ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია აღნიშნული გადასახადის ჩათვლა დივიდენდის გაცემის საანგარიშო პერიოდში.

მოგების გადასახადის გამოთვლა ხდება მოცემული პერიოდებისათვის შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების მონაცემებზე და მენეჯმენტის გათვლებზე დაყრდნობით საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის გათვალისწინებით. მოგების გადასახადი აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი აქვს გაუნაწილებელი მოგების გაცემას და შესაბამისად, წარმოიქმნება საგადასახადო ვალდებულება კონკრეტული საანგარიშო პერიოდის მიხედვით.

გადასახადები მოგების გადასახადის გარდა

გადასახადების აღიარება ხდება, როდესაც ადგილი აქვს ისეთ მოვლენას, რომელიც წარმოშობს გადასახადის გადახდის ვალდებულებას. გადასახადები გაიანგარიშება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები აღიარებულია როგორც საგდასახადო აქტივები. კერძოდ, კომპანია საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, დამატებული ღირებულების გადასახადით ბეგრავს წინასწარ მიღებულ საქონლის/მომსახურების ღირებულებას. საგადასახადო ვალდებულებები და საგადასახადო აქტივი გადახურულია ერთმანეთში და აღირიცხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ჯამურად.

5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2023წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	კომპიუტე რული ტექნიკა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრისთვის	16,729	2,765	15,968	-	**35,462**
შემოსვლა		593	186,206		186,799
გასვლა		-	-		-
გადაფასების ნამეტი	-	-	-		-
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	**16,729**	**3,358**	**202,174**	-	**222,261**
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება					
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრისთვის				-	-
ცვეთა წლის განმავლობაში	(1,057)	(633)	(26,381)		(28,071)
დაგროვილი ცვეთის ელიმინირება	-	-	-	-	
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	**(1,057)**	**(633)**	**(26,381)**	-	(28,071)
ნეტო საბალანსო ღირებულება					
ნაშთი 2023წლის 1 იანვრისთვის	**16,729**	**2,765**	**15,968**	-	**35,462**
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	**15,672**	**2,725**	**175,793**	-	**194,190**

6. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

მარაგები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს

	31 დეკემბერი 2022
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	
სარეალიზაციოდ განკუთვნილი საქონელი	2,916,126
სულ	**2,916,126**

მარაგები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს

	31 დეკემბერი 2023
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	
სარეალიზაციოდ განკუთვნილი საქონელი	3,260,395
სულ	**3,260,395**

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდენაირად:

	31 დეკემბერი 2023
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	211,816
სულ	**211,816**

8. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდენაირად:

	31 დეკემბერი 2023
ფული სალაროში	419
ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშზე, ლარში	89,532
ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშზე, უცხოურ ვალუტაში	21,270
სულ	**111,221**

9. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდენაირად:

ფინანსური ვალდებულებები:	31 დეკემბერი 2023
საქონლის/მომსახურების მიღებიდან წარმოქმნილი კრედიტორული დავალიანება	355,730
სულ	355,730

10. ამონაგები

ამონაგები 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდენაირად:

	2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	3,095,837
სულ	**3,095,837**

ამონაგები 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდენაირად:

	2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	2,516,325
სულ	**2,516,325**

11. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდენაირად:

	2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
შრომის ანაზღაურება	293,709
საიჯარო ქირა	687,698
ადმინისტრაციული ხარჯი	84,976
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯი	22,440
საბანკო მომსახურების ხარჯი	8,416
კომუნიკაციის ხარჯი	15,150
სხვა საგადასახადო ხარჯი	290
სხვა საერთო ხარჯი	21,817
სულ	**1,134,496**

12. დივიდენდი

კომპანიამ 2023 წლის საანგარიშო პერიოდებში გასცა დივიდენდი 157894,73 ლარის ოდენობით გასული საანგარიშო პერიოდების მიხედვით დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან, რომლის შესაბამისი მოგების გადასახადი გადახდილია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. წარმოდგენილი დივიდენდი მოიცავს საქართველოში გათვალისწინებულ გადასახადებს, დაბეგრილია გადახდის წყაროსთან და შესაბამისად დეკლარირებულია საგადასახადო ორგანოებში.

13. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის დირექტორის მიერ 2024 წლის 30 სექტემბერს.

შპს „რომა-2010“-ის დირექტორი _____ ა. გოგრიჭიანი

შპს „რომა-2010”-ის

(ს/ნ: 206347381)

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული

საანგარიშგებო წლისთვის

შ ი ნ ა ა რ ს ი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 3

ფინანსური შედეგების ანგარიშგება 4

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 5

ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ 5

ანგარიშგების მომზადების საფუძველი 5

ფუნქციონირებადი საწარმო 5

სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები 6

ძირითადი საშუალებები 7

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები 8

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 8

ამონაგები 9

ხარჯები 11

ფული და ფულის ეკვივალენტები..... 13

პროცენტიანი სესხები და გადასახდელი ანგარიშები..... 13

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება..... 14

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები..... 16

დივიდენდი 16

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება..... 16

ა ნ გ ა რ ი შ გ ე ბ ა

შპს "რომა-2010"-ის ფინანსური მდგომარეობის შესახებ
2022 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	12/31/2023	12/31/2022	12/31/2021
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	5	194,190	35,462	39,300
გრძელვადიანი სესხები		523,159	430,100	
სულ გრძელვადიანი აქტივები		**717,349**	**465,562**	**39,300**
მიმდინარე აქტივები				
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	6	3,288,880	2,934,966	2,511,412
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	211,816	151,284	124,705
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ		0	109,158	
საგადასახადო აქტივი		26,744	34,325	
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	8	111,221	361,021	232,574
სხვა მოკლევადიანი აქტივები				351,731
სულ მიმდინარე აქტივები		**3,638,661**	**3,590,754**	**3,220,422**
ჯამური აქტივები		**4,356,010**	**4,056,316**	**3,259,722**
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება		3,259,365	2,428,714	2,028,518
მიმდინარე პერიოდის მოგება		483,139	988,546	715,985
პარტნიორთა კაპიტალი		6,891	3,891	20,126
სულ კაპიტალი და რეზერვები		**3,749,395**	**3,421,151**	**2,764,629**
გრძელვადიანი ვალდებულებები				
პროცენტიანი სესხები და გადასახდელი ანგარიშები				
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**0**	-	-
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	9	355,730	410,145	313,312
მიღებული ავანსები		174,835	225,020	181,050
გასაცემი ხელფასი/პერსონალი	-			731
სხვა ვალდებულებები		76,050		
სულ მიმდინარე ვალდებულებები		606,615	635,165	495,093
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**4,356,010**	**4,056,316**	**3,259,722**

შპს "რომა-2010"-ის დირექტორი _____

ა ნ გ ა რ ი შ გ ე ბ ა

შპს "რომა-2010"-ის ფინანსური შედეგების შესახებ

2022 და 2023 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისათვის

	შენიშვნა	12/31/2023	12/31/2022
ამონაგები	10	2,516,325	3,095,837
პროდუქციის/მომსახურების თვითღირებულება		(842,756)	(1,092,398)
საერთო მოგება		**1,673,569**	**2,003,439**
	11		
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები		(293,709)	(274,543)
რეალიზაციისა და მიწოდების ხარჯები		(153,129)	(115,150)
სხვა საოპერაციო ხარჯები, წმინდა		(687,658)	(610,679)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შედეგი		**539,073**	**1,003,067**
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები			-
ცვეთა და ამორტიზაცია		(28,071)	(8,589)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი			
სხვა არასაოპერაციო ხარჯები			(5,932)
მოგება გადასახადით დაბეგვრამდე		**511,002**	**988,546**
მოგების გადასახადის ხარჯი		(27,863)	
წმინდა მოგება		**483,139**	**988,546**

შპს "რომა-2010"-ის დირექტორი _____

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „რომა-2010“ კანონით დადგენილი წესით დაფუძნდა და დარეგისტრირდა თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ 2009 წლის 26 ნოემბერს. რეგისტრაციის შემდგომ, ორგანიზაციას მიენიჭა უნიკალური საიდენტიფიკაციო ნომერი - 206347381. კომპანიის იურიდიული მისამართია: თბილისი, სამგორის რაიონი, კახეთის გზატკეცილი # 3. დღეის მდგომარეობით, საწარმოს მესაკუთრე (100 %-იან წილის მფლობელი) არის იალჩინ ქემალ იშიქჩი (პ/ნ 61091000186) ხოლო დირექტორი ამირან გოგრიჭიანი (პ/ნ 01011041702).

კომპანიის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ავეჯის იმპორტი და ადგილობრივ ბაზარზე საცალო რეალიზაცია.

2. ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის 2016 წლის 8 ივნისის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდრტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით. ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში თუ სხვა რამ არ არის მითითებული. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

3. ფუნქციონირებადი საწარმო

წინამდებარე ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანიის ხელმძღვანელობამ „ფუნქციონირებადი საწარმო“-ს სტანდარტზე დაყრდნობით შეაფასა აქვს თუ არა კომპანიას საქმიანობის გაგრძელების უნარი, როგორც ფუნქციონირებად საწარმოს. კომპანია მიჩნეულია ფუქნქციონირებად საწარმოდ, მის ხელმძღვანელობას არ აქვს

განზრახული კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა და არც იძულებული არ არის, ასე რომ მოიქცეს. საწარმოს ფუნქციონირებადობის შეფასებისას ხელმძღვანელობამ გამოიყენა ყველა ხელმისაწვდომი ინფორმაცია მომავლის შესახებ, რომელიც საანგარიშგებო თარიღიდან სულ მცირე თორმეტ კალენდარულ თვეს მოიცავდა.

კომპანიის ფუნქციონირებად საწარმოდ მიჩნევისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს შემდეგ ფაქტებს:

- კომპანია საანგარიშო პერიოდებს ასრულებს მოგებით;
- 2022-2023 წლებში კომპანიამ საოპერაციო საქმიანობიდან მიიღო საკმარისი ოდენობის ფულადი სახსრები შემდგომში საქმიანობის წარმატებით გასაგრძელებლად;
- კომპანია ფლობს აქტივების საკმაო მოცულობას იმისათვის, რომ წარმატებულად განაგრძოს ფუნქციონირება;

4. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

4.1 სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანია იყენებს ვალუტას, რომელიც გამოიყენება ეკონომიკურ გარემოში, სადაც ხორციელდება სამეწარმეო საქმიანობა. შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ეროვნულ ვალუტაში - ლარში (GEL), რომელიც არის კომპანიის სამუშაო და წარსადგენი ვალუტა.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხა ქართულ ლარში ოპერაციის დღისთვის დადგენილი კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაანგარიშდა ლარებში ფინანსური ანგარიშგების შედგენის დღეს არსებული გაცვლითი კურსების შესაბამისად. საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდა მოგებაში ან ზარალში.

4.2 ძირითადი საშუალებების აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, გარდა ყოველდღიური მომსახურების ხარჯებისა, რასაც აკლდება აკუმულირებული ცვეთა. ამ თანხაში შედის ძირითადი საშუალების ნაწილის ჩანაცვლების ღირებულება, ამ ხარჯის დადგომისას, თუ დაცულია აღიარების კრიტერიუმები. ისეთი ელემენტები, როგორიცაა სათადარიგო ნაწილები, დამხმარე მოწყობილობები და ტექმომსახურებისა და რემონტისთვის განკუთვნილი მოწყობილობები აღიარდება წინამდებარე განყოფილების შესაბამისად, როდესაც ისინი აკმაყოფილებს ძირითადი საშუალების განმარტებას. სხვა შემთხვევაში, კლასიფიცირდება როგორც მარაგი. ძირითადი საშუალების ღირებულება მოიცავს უშუალოდ აქტივის შეძენის დანახარჯებს, ასევე მოიცავს:

- მასალების ღირებულებას და პირდაპირი მუშაობის ხარჯებს;
- ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია მასალის/ნედლეულის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და გამოსაყენებელ მდგომარეობაში მოყვანასთან;

არამატერიალური აქტივი წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთით შემცირებული თვითღირებულებით.

ცვეთა

ძირითადი საშუალებების ცვეთა დაერიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის ექსპლუატაციაში გაშვება. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, ძირითადი საშუალებების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადის გათვალისწინებით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადები ასეთია:

- სატრანსპორტო საშუალებები - 10 წელი;
- ოფისის აღჭურვილობა - 10 წელი;
- ავეჯი და სხვა ინვენტარი - 10 წელი;
- არამატერიალური აქტივი - 10 წელი.

ამორტიზაციის მეთოდები, სასარგებლო მოქმედების ვადა და ნარჩენი ღირებულება განიხილება ყოველი ანგარიშგების დღეს და კორექტირდება საჭიროების მიხედვით. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

გრძელვადიანი აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის კომპანია განიხილავს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ ადგილი აქვა ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების გაუფასურებას. იმ შემთხვევაში თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, ფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და უდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

4.3 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესის ღირებულებით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს შეძენის ხარჯებს, წარმოების ან კონვერტაციის ხარჯებს, და

ასევე სხვა გაწეულ ხარჯებს, რაც საჭიროა ადგილმდებარეობამდე მისატანად. იმ შემთხვევაში, თუ წარმოებულ მარაგებზე მუშაობა მიმდინარეობს, ღირებულება მოიცავს შესაბამის წილ წარმოების ზედნადებ ხარჯებსაც. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება გაიანგარიშება „საშუალო შეწონილი“ მეთოდით.

გრძელვადიანი აქტივების ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისათვის საჭირო დანხარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

4.4 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანია რეალიზაციას ახორციელებს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით, რომლის დროსაც ხდება ძირითადად სავაჭრო მოთხოვნილებების ფორმირება. დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაანალიზება, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

4.5 სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს, რომელსაც პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულბა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

4.6 დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

დაქირავებულ მომუშავეთა მოკლევადიანი ვალდებულებების შეფასება ხდება დისკონტირების გარეშე და გამოიქვითება როგორც მიმდინარე ხარჯი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საჭიროა ასეთი ხარჯების აქტივების თვითღირებულებაში ასახვა. ვალდებულება აღიარდება იმ თანხით, რომელიც სავარაუდოდ გადასახდელი იქნება როგორც მოკლევადიანი ფულადი პრემია ან მოგებიდან მიღებული შემოსავლის განაწილება, თუ კომპანიას აქვს მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება დასაქმებულის მიმართ გადაიხადოს ეს თანხა მიმდინარე პერიოდში ან

წარსულში გაწეული მომსახურებისათვის, და ამ შემთხვევაში ვალდებულების შეფასება შესაძლებელია საიმედოდ.

4.7 სესხები

კომპანია არ სარგებლობს მიღებული სესხით.

4.8 ამონაგები

საქონლის გაყიდვიდან/მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავალი ჩვეულებრივ საქმიანობად ფასდება და იზომება მიღებული ან მისაღები სამართლიანი ღირებულებით, წმინდა ამონაგებით და სავაჭრო ფასდაკლების გათვალისწინებით. შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მნიშვნელოვანი რისკები და საკუთრება უკვე გადაეცემა მყიდველს. ანაზღაურების მიღება, ასოცირებული ხარჯები და საქონლის შესაძლო უკან დაბრუნების უფლება მიიჩნევა საიმედოდ, თუ არ საჭიროებს მენეჯმენტის უწყვეტ ჩართულობას საქონელთან მიმართებაში და მისაღები თანხაც შეიძლება ჩაითვალოს საიმედოდ. თუ არსებობს ეჭვი, რომ მოხდება ფასის დაკლება და თანხის ოდენობა შეგვიძლია ჩავთვალოთ საიმედოდ, მაშინ ფასდაკლება აღიარებულია, როგორც გაყიდვების შემოსავლების შემცირება.

4.8.1 აღიარება

კომპანია საქონლის რეალიზაციით მიღებულ შემოსავალს აღიარებს იმ შემთხვევაში, როცა დაკმაყოფილებულია ყველა შემდეგი პირობა:

- კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;
- კომპანია არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;
- შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება;
- მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს;
- შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებით უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

კომპანია ახდენს გარიგების პირობების გაანალიზებას იმის დასადგენად, თუ როდის მოხდა მყიდველისათვის საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკების და სარგებელის გადაცემა. მეტ წილ შემთხვევებში, საკუთრებასთან დაკავშირებული რისკებისა და სარგებლის გადაცემა ემთხვევა მყიდველზე იურიდიული ან ქონებრივი უფლებების გადაცემას. თუ კომპანია ინარჩუნებს საკუთრებასთან

დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, ოპერაცია არ მიიჩნევა გაყიდვად და, შესაბამისად, არ ხდება ამონაგების აღიარება. ასეთი შემთხვევებია, როდესაც:

- კომპანიას რჩება ვალდებულება მიწოდებული საქონლის არადამაკმაყოფილებელ საექსპლუატაციო თვისებებზე, რომელსაც არ ითვალისწინებს გარიგების სტანდარტული პირობები;
- მყიდველს, ხელშეკრულებით განსაზღვრული გარკვეული მიზეზით, ან საკუთარი სურვილისამებრ, უფლება აქვს, გააუქმოს ხელშეკრულება და, ამდენად, საწარმოსათვის გაურკვეველია შემოსავლის მიღების შესაძლებლობა.

მომსახურების გაწევით მიღებულ შემოსავალს კომპანია აღიარებს, როცა დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

- ამონაგების ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ;
- მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;
- შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს;
- შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესასრულებლად საჭირო მომავალი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

4.8.2 ამონაგების შეფასება

კომპანია ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც მცირდება კომპანიის მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობის, ასევე ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებული რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების თანხებით.

4.9 საკუთარი კაპიტალი

კომპანია საკუთარი კაპიტალის ანგარიშში აღრიცხავს კომპანიის მესაკუთრის მიერ კომპანიაში განხორციელებულ შენატანებს, ასევე საანგარიშო პერიოდის მოგებას ან ზარალს და გაუნაწილებელ მოგებაში მომხდარ ცვლილებებს.

4.10 ხარჯები

კომპანიის ხარჯები მოიცავს ზარალს და ისეთ ხარჯებს, რომლებიც წარმოიშობა საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში. ასეთი ხარჯები სხვადასხვა სახის აქტივების შემცირებით ან კომპანიიდან გასვლით გამოიხატება. კომპანია აღიარებს ხარჯებს მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში იმ შემთხვევაში, როდესაც მცირდება აქტივის შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი და ამგვარი ცვლილების სიდიდის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია. ხარჯების კლასიფიცირებას კომპანია ახდენს ფუნქციების მიხედვით.

4.11 დაბეგვრა

საგადასახადო ხარჯი შედგება მიმდინარე და გადავადებული გადასახადებისაგან. მიმდინარე და გადავადებული გადასახადი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

მოგების გადასახადი

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით მოგების გადასახადით დაბეგვრას ექვემდებარება განაწილებული მოგება, თუმცა თუ კომპანიაში ხდება 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 31 დეკემბრამდე დაგროვილი მოგების განაწილება, რომლის შესაბამისი გადასახადი გადახდილია სახელმწიფო ბიუჯეტში, ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია აღნიშნული გადასახადის ჩათვლა დივიდენდის გაცემის საანგარიშო პერიოდში.

მოგების გადასახადის გამოთვლა ხდება მოცემული პერიოდებისათვის შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების მონაცემებზე და მენეჯმენტის გათვლებზე დაყრდნობით საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის გათვალისწინებით. მოგების გადასახადი აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი აქვს გაუნაწილებელი მოგების გაცემას და შესაბამისად, წარმოიქმნება საგადასახადო ვალდებულება კონკრეტული საანგარიშო პერიოდის მიხედვით.

გადასახადები მოგების გადასახადის გარდა

გადასახადების აღიარება ხდება, როდესაც ადგილი აქვს ისეთ მოვლენას, რომელიც წარმოშობს გადასახადის გადახდის ვალდებულებას. გადასახადები გაიანგარიშება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები აღიარებულია როგორც საგდასახადო აქტივები. კერძოდ, კომპანია საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, დამატებული ღირებულების გადასახადით ბეგრავს წინასწარ მიღებულ საქონლის/მომსახურების ღირებულებას. საგადასახადო ვალდებულებები და საგადასახადო აქტივი გადახურულია ერთმანეთში და აღირიცხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ჯამურად.

5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2023წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	კომპიუტერული ტექნიკა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრისთვის	16,729	2,765	15,968	-	**35,462**
შემოსვლა		593	186,206		186,799
გასვლა		-	-		-
გადაფასების ნამეტი	-	-	-		-
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	**16,729**	**3,358**	**202,174**	**-**	**222,261**
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება					
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრისთვის				-	-
ცვეთა წლის განმავლობაში	(1,057)	(633)	(26,381)		(28,071)
დაგროვილი ცვეთის ელიმინირება	-	-	-	-	
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	**(1,057)**	**(633)**	**(26,381)**	**-**	(28,071)
ნეტო საბალანსო ღირებულება					
ნაშთი 2023წლის 1 იანვრისთვის	**16,729**	**2,765**	**15,968**	**-**	**35,462**
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	**15,672**	**2,725**	**175,793**	**-**	**194,190**

6. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

მარაგები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს

	31 დეკემბერი 2022
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	
სარეალიზაციოდ განკუთვნილი საქონელი	2,916,126
სულ	**2,916,126**

მარაგები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს

	31 დეკემბერი 2023
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	
სარეალიზაციოდ განკუთვნილი საქონელი	3,260,395
სულ	**3,260,395**

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდენაირად:

	31 დეკემბერი 2023
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	211,816
სულ	**211,816**

8. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდენაირად:

	31 დეკემბერი 2023
ფული სალაროში	419
ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშზე, ლარში	89,532
ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშზე, უცხოურ ვალუტაში	21,270
სულ	**111,221**

9. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდენაირად:

ფინანსური ვალდებულებები:	31 დეკემბერი 2023
საქონლის/მომსახურების მიღებიდან წარმოქმნილი კრედიტორული დავალიანება	355,730
სულ	**355,730**

10. ამონაგები

ამონაგები 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდენაირად:

	2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	3,095,837
სულ	**3,095,837**

ამონაგები 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდენაირად:

	2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	2,516,325
სულ	**2,516,325**

11. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდენაირად:

	2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
შრომის ანაზღაურება	293,709
საიჯარო ქირა	687,698
ადმინისტრაციული ხარჯი	84,976
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯი	22,440
საბანკო მომსახურების ხარჯი	8,416
კომუნიკაციის ხარჯი	15,150
სხვა საგადასახადო ხარჯი	290
სხვა საერთო ხარჯი	21,817
სულ	**1,134,496**

12. დივიდენდი

კომპანიამ 2023 წლის საანგარიშო პერიოდებში გასცა დივიდენდი 157894,73 ლარის ოდენობით გასული საანგარიშო პერიოდების მიხედვით დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან, რომლის შესაბამისი მოგების გადასახადი გადახდილია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. წარმოდგენილი დივიდენდი მოიცავს საქართველოში გათვალისწინებულ გადასახადებს, დაბეგრილია გადახდის წყაროსთან და შესაბამისად დეკლარირებულია საგადასახადო ორგანოებში.

13. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის დირექტორის მიერ 2024 წლის 30 სექტემბერს.

შპს „რომა-2010“-ის დირექტორი _____ ა. გოგრიჭიანი